პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

1990 1 იანვარი ორშაბათი

№1 (6228)

ფასი 8 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ წელს მოგილოცავთ, მეგობრებო!

ფეხბედნიერი ყოფილიყოს

დღეს 1989 წელი ისტორიის კუთვნილებად იქცა. შეფასება მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი ექნება—1989 წელი ფეხბედნიერად ვერ შემობრძანდა ქართულ მიწაზე. არ გვაკმარა 9 აპრილისა და ზემო აჭარის ტრაგედია, აფხაზეთში ძმათა სისხლისღვრა, ქვემო ქართლსა და სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა, არნახულმა გვალვამ, გადაწვა და გადაბუგა აღმოსავლეთ საქართველო.

სტიქიამ ათასი საზრუნავი გაუჩინა ჩვენს რაიონსაც. მეწყრებმა დაანგრია 300-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, გზები თუ სხვა კომუნიკაციები. რაიონს უჭირს იმაზე, რომ დამეწყრილ ოჯახებს ამოუნახოს უსაფრთხო ადგილებში სამოსახლოები.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა რაიონში განხორციელდა რიგი ღონისძიებანი მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

როგორი იქნება ახალი წელი, რას მოგვიტანს იგი? რა თავისებურებებით ხასიათდება 1990 წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა? მასში სრულყოფილი ასახვა ჰპოვა პარტიის ფუძემდებლურმა მითითებებმა საბჭოთა ხალხის სოციალურ-კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების უზრუნველყოფის შესახებ. მაგალითად, გეგმა ითვალისწინებს, რომ წელს ავაგოთ და საექსპლუატაციოდ გადავცეთ ორი მილიონ 400 ათასი კეთილმოწყობილი ბინა. საახალხო განათლების განვითარებისათვის გამოყოფილია 6,7 მილიარდი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, 5 პროცენტით მეტი, ვიდრე 1989 წელს.

დიდძალი დამატებითი სახსრების გამოყოფას ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღმასვლის, მოსახლეობის სოციალურ-მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქმედითი ღონისძიებების ხორცშესხმა. ამ და სხვა მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილებისათვის დამდეგ წელს დაიხარჯება 488,2 მილიარდი მანეთი.

ყველავ ზარალიანი იქნება მრეწველობის, მშენებლობის, აგრარული სექტორის, ტრანსპორტის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა დარგების საქმიანობა. 1990 წლის გეგმა და ბიუჯეტი ითვალისწინებენ არსებითი ხასიათის ღონისძიებების გატარებას ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების უზრუნველსაყოფად.

უპირველესი საზრუნავია ადამიანთა სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა. კარგად უნდა გავაანალიზოთ, თუ რა სავალალო შედეგი მოჰყვა სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების უყურადღებო, უსულგულო დამოკიდებულებას. საჭიროა ხელმძღვანელმა ორგანოებმა ყურად იღონ სოფლის მშრომელთა მოთხოვნა, მიწა გადაეცეს მიწის მუშას და იგი იყოს მისი ბატონ-პატრონი ნამდვილად, და არა ისე, როგორც დღესაა.

1990 წელი სკკპ 28-ე ყრილობის წელია. ახალი წლით დაიწყება გარდაქმნის ახალი ეტაპის ათვლა. ეს იქნება პასუხსაგები ეტაპი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის—როგორც მატერიალური, ისე სულიერი მხარეების ღრმა განახლების გზაზე, საჯაროობისა და დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარება და დანერგვა.

დაე, ახალი 1990 წელი ბედნიერი ყოფილიყოს ყველა ჩვენთაგანისათვის, ჩვენი რესპუბლიკისათვის, ქართველი ხალხისათვის, მისი დიადი სანუკვარი მიზნის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მეგობრებო! სულითა და გულით გისურვებთ ბედნიერებას, წინსვლას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში, ჩვენი ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საახალწლო პატაკები

ორბელის კოლმეურნეობა

ახალ წელს შრომითი წარმატებით შეხვდნენ ორბელის კოლმეურნეობის მშრომელები. იბრძვიან რა სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. კოლმეურნეობასთან ოჯახურ იჯარაში ჩაბუმულმა მშრომელებმა 520 ცენტნერი ხორცი დაამზადეს და წლიური გეგმა, რაც 450 ცენტნერის მიყიდვას ითვალისწინებდა, გადაჭარბებით შეასრულეს.

ორბელელ მეცხოველეთა პირობაა ზამთარშიც არ მოაკლონ პირუტყვს მზრუნველობა, ამ საპასუხისმგებლო პერიოდშიც შეასრულონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების დავალება.

ღაჯანის კოლმეურნეობა

კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ოჯახურ ოჯარაზე გადასვლამ კარგი საფუძველი მოუმზადა წლიური გეგმის შესრულებას. წინასაახალწლო დღეებში მოიჯარეებმა რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულება უპატაკეს სამშობლოს. დამამზადებელ ორგანიზაციებს 1000 ცენტნერი რძე ჩააბარეს, რაც წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული.

მეზის გაკეთების სურვილით

მიილია 1989 წელი, ჩვენი ხალხისათვის მეტად დაძაბული და ათასგვარი ტკივილებით აღსავსე.

ჩემთვის, როგორც მეაბრეშუმისთვის ნაყოფიერი კი იყო იგი. მიუხედავად იმისა, რომ საკვები ბაზის სიმცირე ისევ იგრძნობა, 150,5 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი მაინც ჩავაბარე სამშობლოს. ახალგაზრდა ოჯახი მაქვს. დიდ, მრავალშვილიან ოჯახს გამოყოფილ ახლა ვმართავთ კარ-მიდამოს და ამასთან ოთხ შვილს ვზრდით მე და ჩემი მეუღლე. შრომა და მხოლოდ შრომაა ჩვენთვის სასიცოცხლო მოთხოვნილება. ამ სულისკვეთებით იზრდებიან ჩვენი პატარებიც. აბრეშუმის მურს ყოველწლიურად ვუვლი, ჩემს ახალ კარ-მიდამოში პირველ რიგში თუთის პლანტაცია მოვაწყვე და საფუძველს ვამზადებ, რომ უკეთეს შედეგს მივაღწიო. სულ უკანასკნელ სამ წელიწადში 322 კილოგრამი ხარისხიანი პარკი მაქვს ჩაბარებული და სწორედ ამ წარმატებისათვის იყო, რომ ამ ცოტა ხნის წინ აგროსამრეწველო გაერთიანებამ, როგორც მოწინავე მეაბრეშუმეს, ავტომანქანა „ჟიგული“ გამომიყო.

ჩემი შრომის დანახვამ და ესოდენ დიდმა დაფასებამ სიამოვნებაც მომგვარა, მაგრამ ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დამაყენა. ამას ისიც დაემატა, რომ როგორც რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილიდან შევიტყვე, რაიონის მეაბრეშუმეები რაც უფრო მეტ და ზეგეგმით აბრეშუმის პარკს ვაწარმოებთ, მით უფრო მეტი საშუალება გვქნება ამ ძვირფასი ნედლეულის სავალუტო გაცვლით საზღვარგარეთული წარმოების დეფიციტური და ჩვენთვის აუცილებელი საქონელი შემოვიტანოთ.

ახალ წელს, ახალი ამოცანები დავისახეთ. მე და ჩემმა ოჯახმა და გადაუწყვიტეთ, რომ იმაზე მეტი აბრეშუმის პარკი ვაწარმოოთ, რაც გასულ წელს ვაწარმოეთ.

მ. ხაგულიანი.

წიფერჩის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე.

საოლქო - საარჩევნო კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.

კომისიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ძირითად ღონისძიებათა კალენდარული გეგმა.

სხდომაზე საუბარი იყო არჩევნებისათვის მზადების პრაქტიკულ საკითხებზე.

შრომის პენსია

განმარტავს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი

ვ. კაჭარავა

რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ განიხილავენ პრესაში გამოქვეყნებული კანონის პროექტს „სსრ კავშირის მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“.

— კანონი განამტკიცებს ყველა მოქალაქის საპენსიო უზრუნველყოფის უფლებას. განხორციელდება მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის სრული გათანაბრება.

კანონის ახალი პროექტის მიხედვით შენარჩუნებულია საპენსიო ასაკი და პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟი ამჟამად მოქმედი წესის დონეზე: მამაკაცებისათვის — 60 წელი და მუშაობის — 25 წელი, ხოლო ქალებისათვის შესაბამისად —55 და 20 წელი, მაგრამ შეიცვალა ასაკის მიხედვით პენსიის გამოანგარიშების წესი. თუ დანამატების გარეშე მაქსიმალური პენსია მოქმედი წესით შეადგენს საშუალო ხელფასის ნახევარს, ხოლო ყოველგვარი დანამატით—132 მანეთს, ახალი კანონით 20 წლის სტაჟის მქონე ქალებისა და 25 წლის სტაჟის მქონე მამაკაცებისათვის პენსია გამოიანგარიშება ხელფასის 55 პროცენტის ოდენობით, ხოლო მუშაობის ყოველი მომდევნო წლისათვის, აღნიშნული სტაჟის დამატებით დაირიცხება ხელფასის ერთი პროცენტი. ამის საფუძველზე პენსია გაუდიდდება იმას, ვინც უკეთ და უფრო დიდხანს იშრომა. მაგალითად, ქალს, რომელსაც საშუალო ხელფასი ჰქონდა 250 მანეთი და სამუშაო სტაჟი 30 წელი, პენსია დაენიშნება ხელფასის 65 პროცენტის ოდენობით, რაც 162 მანეთსა და 50 კაპიკს შეადგენს. სტაჟის გადიდებასთან ერთად მოიმატებს პენსიის რაოდენობაც. მაგრამ აღნიშნული წესით გამოანგარიშებული ასაკობრივი პენსია არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 75 პროცენტს. ეს უმაღლესი პენსია ქალებს ენიშნებათ 40 წლის მუშაობის სტაჟის დროს, ხოლო მამაკაცებს — 45 წლის სტაჟისას. ამგვარად, აღნიშნული ხელფასისა და 40 წლის მუშაობის სტაჟის დროს, რომელიც 20 წლით აღემატება საჭირო სტაჟს, პენსია გამოიანგარიშება ხელფასის 75 პროცენტის ოდენობით და შეადგენს 185 მანეთსა და 50 კაპიკს. ამასთან ასაკობრივი პენსიის დანიშვნის შემდეგ მუშაობის დრო არ გაითვალისწინება.

უქმდება მუშაობის უკანასკნელი 12 თვის საშუალო ხელფასიდან პენსიის გამოანგარიშების წესი. პენსია გამოიანგარიშება უკანასკნელი 15 წლის მუშაობის განმავლობაში ზედიზედ 5 წლის ხელფასიდან პენსიის დასანიშნად მიმართვამდე, მუშაობაში არსებული წყვეტილის მიუხედავად.

როგორ გამოიანგარიშება პენსია მინიმალური ხელფასიდან? ასაკობრივი პენსიის მინიმალური ოდენობა დადგენილია მინიმალური ხელფასის 100 პროცენტის დონეზე, ეს კი ნიშნავს, რომ იმ პირებს, რომელთა ხელფასი 70 მანეთია, პენსიაც 70 მანეთის ოდენობით დაენიშნებათ.

რაც შეეხება ომის ინვალიდების პენსიით უზრუნველყოფას, რომლებიც ასაკობრივ პენსიაზე გადიან, მათს პენსიას დაემატება ინვალიდობის პენსიაც, ინვალიდობის შესაბამისი ჯგუფის მიხედვით. მინიმალური ოდენობით. მაგალითად, თუ ომის მესამე ჯგუფის ინვალიდი გადავა ასაკობრივ პენსიაზე, ამ პენსიას დაემატება ინვალიდობის პენსიის მინიმალური რაოდენობა, რომელიც ამ ჯგუფის ინვალიდებისათვისაა დაწესებული.

სხვა ომის მონაწილეებსა და სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც ინტერნაციონალური ვალი მოიხადეს, ასაკობრივი პენსია გაუდიდდებათ ასაკობრივი პენსიის 25 პროცენტის ოდენობით, ესე იგი 17 მანეთითა და 50 კაპიკით.

ახალი კანონის პროექტი იქიდან გამომდინარეობს, რომ ყველა კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფა შემდგომში ცალკეული კანონით მოწესრიგდება. ინვალიდებისათვის და ომის სხვა მონაწილეებისა და სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც ინტერნაციონალური ვალი მოხადეს, გათვალისწინებულია სხვა შეღავათებიც.

შრომითი სტაჟის გამოანგარიშებისას დამატებითი შეღავათები დაუწესდებათ ბავშვებიან ქალებს. სამ წლამდე ბავშვის აღზრდის პერიოდი, როცა ქალი არ მუშაობდა, ჩაითვლება შრომის სტაჟში, ხოლო ექვს წლამდე, ორი ან მეტი ბავშვის აღზრდის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონს უკუქმედებითი ძალაც ექნება და ითვალისწინებს ამ კანონის მიღებამდე დანიშნული პენსიების გადაანგარიშებას საპენსიო საქმეში არსებული სათანადო საბუთების საფუძველზე, აგრეთვე იმ დამატებითი საბუთების საფუძველზე, რომლებსაც პენსიონერი წარადგენს პენსიის გადაანგარიშების დროს.

აღნიშნული კანონის განხორციელება დასახულია მომდინარე წელსვე ეტაპობრივად. ჩვენი საუბრის დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს დიდი მუშაობა მოუწევთ.

ცაგერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლს წინასაახალწლო დღეებში ვეწვიეთ. მუშაობდნენ წრეები, იყო საქმიანი განწყობილება, საახალწლო სამზადისი—მოსწავლეებმა მთელი თავიანთი ცოდნა და ნიჭი, შეხედულებები მომდინარე მოვლენებზე, 1989 წელზე, ამ კონცერტში უნდა ჩადონ.

ჩვენმა კორესპონდენტმა ეს ფოტოსურათი ფოლკლორისტთა წრის (ხელმძღვანელი ნინო მუშკუდიანი) მუშაობისას გადაიღო.

ზ. გზობავას ფოტო.

ოჯახი

სურვილების გული ვერ იტევს

ერთი შვილი არა შვილიო—ქართველს უთქვამს. საუკუნეობრივი გამოცდილებით შეიარაღებულმა ქართველობამ იცოდა, რომ სამშობლო შვილთა სიმრავლეს ითხოვდა ჭირსა თუ ლხინს შრომასა თუ ომსა შიგან შემართებას, სამშობლოსათვის თავგანწირვასა და გვარის ნიშატისა და ჯიშის არ მოშლას ერთი შვილი ვერ

გასწვდებოდა. სიმრავლე სჭირდებოდა ქართულ საქმეს. ტუუილუბრალოდ როდი ამბობდა ქართველი—ერთი შვილი არა შვილიო, სულ ცოტანი ვიყავით, დასაბამიდან ერთი ათზე მოდიოდა მტერი, ამაზე უარესი შეფარდება უკვე დაღუპვა იყო ამიტომ აკვანი გადაუდგმელად ირწეოდა ქართულ ოჯახში.

ტრადიციას არ უღალატა ნაკურალეშელმა ნათელა ყურაშვილმაც. იგი თვრამეტი წლისა, ახლანდელი კრიტერიუმებით ჯერ კიდევ ბავშვი, გათხოვდა ბარდნალაში. 23 წლისას უკვე 3 შვილი მყავდაო, ამბობს ახლა. მან და მისმა მეუღლემ ოთარ ხაბულიანმა ხუთი შვილი გაზარდეს—3 ვაჟი და ორი ქალი. ძნელი როგორ არ იყო —5 შვილი, ოჯახი, კარმიდამო, საკოლმეურნეო ყანა თუ ვენახი, სამსახური, მტერ-მოყვარე, ყველა თავისას ითხოვდა, მაგრამ ოჯახის ახალგაზრდა დიასახლისის სახარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან დიდებულად გაართვა თავი ყველაფერს, მუშაობდა და თან ბავშვებს ზრდიდა. შრომისმოყვარე ცოლ-ქმარმა შვილებიც დაამზადეს — მაჭარეთ გამრჯენი და ხელმარჯვენი არიან. უფროსი ქალ—ვიოლეტა ... გათხოვილი და უკვე სამ შვილს ზრდის. უფროს ვაჟს, მურადს, და მომდევნო ქალიშვილს, აზ.ს, რომელიც აქვე, ჭალისთავშია გათხოვილი, ორ-ორი ბავშვი ჰყავთ-ქალ-ვაჟი. უმცროსი ვაჟები მამუკა და ალუდა, რომელიც წელს ამთავრებს საშუალო სკოლას, ახლა გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე.

ხაბულიანების მრავალრიცხოვან ოჯახში ყველამ მშვენივრად იცის თავისი ფუნქცია, სულ პატარა—5 წლის თამუნამაც კი. ამიტომ საქმე-საკეთებელი აქ არ გროვდება, თუმცა საზრუნავი ცოტა როდია.

ამ დიდ, ნათელ ოჯახში შესვლისას უნებლიედ თქვენც გაგინათდებათ გული. ქალბატონი ნათელა ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურება. მისი გულღია ხასიათი ტონს აძლევს ოჯახის ყველა წევრის განწყობილებას, ამიტომ აქ ყოველთვის მეგობრული ატმოსფეროა. ხშირად ყველანი ერთად იყრიან თავს და არის მაკასა და ეკას, კახასა და მარიკას, მერაბის, ზაალის და თამუნას კისკისი, ანცობა და მხიარულება. ახლაც, საახალწლოდ ერთად შეიყრიან თავს, საოჯახო სუფრას მოუსხდებიან და ერთხელ კიდევ ადღეგრძელებენ, სიცოცხლესა და გამრავლებას უსურვებენ ერთმანეთს.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს ახალი წელიც.

სურათზე: ნათელა და ოთარ ხაბულიანები თავიანთ მონაგართან ერთად.

ზ. გზობავას ფოტო.

პარტიულ მუშაკთა

დასახმარებლად

ხმეგის **რა რაოდენობით წყდება კრებაზე პარტიაში მიღების საკითხი?**

სკკპ წესდების თანახმად პარტიული კრების დადგენილება პარტიაში მიღების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა კრებაზე დამსწრე კომუნისტთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

ჩვენთან ღია პარტიულ კრებებზე ნაკლებად ესწრებიან უპარტიო ამხანაგები. სწორია რომ ჩვენ, კომუნისტებს გვადანაშაულებენ ამის გამო?

ეს, რა თქმა უნდა, არასწორია. მნიშვნელოვანია ღია პარტიულ კრებაზე განხილულ იქნას ისეთი საკითხები, რომლებიც დააინტერესებს არა მარტო კომუნისტებს, არამედ მთელ შრომითს კოლექტივს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთ შემთხვევაში უპარტიო ამხანაგები სიამოვნებით ესწრებიან კრებებს და დიდ პოლიტიკურ აქტიურობასაც იჩენენ. თუ მომავალი კრების შესახებ დროულად და როგორც ჯერ არს, გაკეთდება განცხადება, არ იქნება საჭირო უპარტიო ამხანაგების „ძალით“ მოყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს საჭირისუფლოში
ლაგვეჭინის ეკლესია



საქართველოს გაერთიანების ხანიდან მოყოლებული, ლეჩხუმი აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის კულტურული აღმავლობის საერთო პროცესში. ამის უტყუარი საბუთია ლეჩხუმში შემონახული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკებების შესანიშნავი ნიმუშები. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ლეჩხუმის ისტორიული ვითარების წარმოდგენისას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროის საკულტო ნაგებობებს. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. მათ შორისაა ლაბეჭინის მთავარანგელოზის ეკლესია.

ლაბეჭინის ეკლესია ლეჩხუმის აღმოსავლეთ კიდეზე, რაჭასთან საზღვრის ხიახლოვეს მდებარეობს. იგი გველისთავის მთის სამხრეთით წამოსულ ქედზეა, ფოშხასა და ჭყვიშის დასავლეთით, სოფელ თაბორიდან აღმოსავლეთით. აქ, ასწლოვანი ხეების გარემოცვაში დგას თეთრი ფერის, ჩუქურთმებით შემკული მშვენიერი ნაგებობა. მაღლობიდან შესანიშნავი ხედები მოჩანს რაჭა-ლეჩხუმისა. მთავარანგელოზის ეკლესიას მრავალგზის განუცდია რღვევა და შეედგომი შენება, ამაზე მოგვითხრობს წერილობითი წყაროები და ამასვე ცხადყოფს ძეგლი. აღარ არსებობს მისი სამმხრივი მინაშენები, ქვის მოჩუქურთმებული კანკელიც დაღუპულია.

დღეისათვის ლაბეჭინის ეკლესია დიდი ზომის აზიდული პროპორციების, საკმაოდ დამრეცი, ორფერდა სახურავის მქონე დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენს. მისი კორპუსი შემოსილია თარაზულად ნაწყობი თლილი ქვიშაქვის პერანგით, რომლის დაზიანებული ადგილები აღდგენილია შირიმის მცირე ზომის ფილებით. შენობა ორსაფეხურიან ცოკოლს ემყარება, იგი ამჟამად მხოლოდ აღმოსავლეთით მოჩანს.

1910 წელს ლეჩხუმში ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის დროს, აქ ჯერ კიდევ ყოფილა სახარება, გადაწერილი მე-13 საუკუნეში სადაც იხსენიებოდნენ გადამწერი გიორგი დვალი და ეტრატის შემქმნელი სუფი. სულ ბოლოს ყოფილა გაბრიელ ლაბეჭინელის წერილი, სადაც მოთხრობილი იყო ეკლესიის ნგენებლობასთან დაკავშირებული საინტერესო ცნობები, რომელშიც მითითებული ყოფილა, რომ მიწისძვრის შედეგად დანგრეულა ეკლესია მთლიანად და შემდეგ სამ წელიწადში აღუდგენიათ, ხატები დაუხატავთ, ხელნაწერი წიგნები გაუმრავლებიათ და სხვ, ასეთი რამ წერილობით წყაროებში ხშირი არაა. ამიტომ გაბრიელ ლაბეჭინელის მინაწერი ძვირფასია, არა მხოლოდ ამ ძეგლის ისტორიის შესატყობად, არამედ საერთოდ საქართველოში საეკლესიო მშენებლობის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

ყოველივე არსებულის გათვალისწინების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ მიწისძვრით განადგურებული ეკლესია შეუცვლია გაბრიელ ლაბეჭინელის მიერ აგებულ საყდარს—დღევანდელ მთავარანგელოზის ეკლესიას. შენობის კედლებში ჩატანებული ასომთავრული წარწერები მე-11—მე-12 საუკუნეებს განეკუთვნება. ისინი ძველი ეკლესიის უნდა იყოს. მათ მეორად გამოყენებაზე შერყვნილი ადგილები და ფილების დაზიანებული კუთხეებიც მიუთითებს. აქ იხსენიება მიქელ ქობულისძე, რატი დაფქუასძე, კვირიკე ჩოღერი, ნათელ დედოფალი, იოვანე და გაბრიელ კალატოზნი. მე-17 საუკუნის ყოფილა გიორგი ინასარიძისა და მისი მეუღლის—ანა ჩხეტიძის წარწერა, რომელიც დასავლეთის ეკლესიის აგებაზე მოგვითხრობდა. ეს ქვა დაკარგულია. ეკლესია ბოლო ხანებამდე კიდევ რამდენჯერმე შეუკეთებიათ. მიუხედავად ამდენი ცვლილებისა ნაგებობის დღევანდელი სახე მაინც უდავოდ საინტერესოა. იგი ლეჩხუმის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს და ღირსეულ ადგილს იკავებს საქართველოს ამ პერიოდის ეკლესიათა შორის. მე-11—მე-12 საუკუნეებში იგი პირველი უნდა ყოფილიყო ლეჩხუმის აღმოსავლეთ ნაწილის ეკლესიათა შორის.



სურათებზე: (მარცხნივ) ლაბეჭინის ეკლესია, აღმოსავლეთის ფასადი, (მარჯვნივ) ლაბეჭინის ეკლესიის აღმოსავლეთი სარკმელის მორთულობა, (ქვემოთ) ლაბეჭინის ეკლესია, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

პრემიერა

დამთავრდა წელი, რომელმაც ამდენი ტანჯვა და ვაება მოუტანა ჩვენს მშობელ მიწას, გლოვის დღეები გვიმრავლა და რამდენჯერმე პირდია უფსკრულის წინ დაგვაყენა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, 1989 წელმა სხვანაირადაც დაგვამახსოვრა თავი—ქართველთა გაზრდილი ეროვნული თვითშეგნებით, პოლიტიკური აქტიურობით, ე. წ. „თეთრი ლაქების" ამოვსებით, ოფიციოზის მიერაც კი სიმართლის აღიარებით, საყოველთაო ეროვნული გამოღვიძებით. დომინანტობს ახლა ამიტომ ყველა სფეროში ეროვნული თემა.

იმ დღეს, როცა გარდაიცვალა ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ზურაბ ჭავჭავაძე, ცაგერის სარაიონო კულტურის სახლის სცენაზე კიდევ ერთი მწუხარე სპექტაკლი გაიმართა. 21 დეკემბერს ცაგერის სახალხო თეატრმა წარმოაჩინა ლიტერატურულ—მუსიკალური კომპოზიცია „მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე შშვენიერი ესე მამული".

საინტერესოა სპექტაკლის რეჟისორეული გადაწყვეტა. (რეჟისორი ზაზა ყურაშვილი). ყველა მოქმედება ხდება ტაძრის ეზოში—იქნება ეს ქორწილის სცენა, მოძღვრისა და ბერების შეპაექრება, 9 აპრილის წარმოსახვითი სცენა დედათა ლოცვა თუ სხვა. „თევდორეს" თემა ქართველთათვის მარად უკვდავი თემაა, ამიტომაც მოერგო იგი ასე დღევანდელობას. დაბეჩავებული, დაჩაგრული, უცხო პატრონის ხელთ მოხვედრილი მრევლი სულგანაბული უსმენს მოძღვარს, რომელიც, სხვარიგად ქადაგებს. მის ქადაგებაში იჭრება რაღაც ახალი სხივი. აჰა, იგი მოუწოდებს მოთმინებისაკენ, მაგრამ არა მორჩილებისკენ. ითხოვს, ისწავლონ ავისა და კარგის გარჩევა, გაიგონ, რისთვის ღირს თავგანწირვა... მრევლიც თანდათან წვდება მოძღვრის სიტყვების არსს.

... გლოვისთვის დრო აღარ
გვყოფნის,
გადაუდგმელად ირწეოდეს თქვენი
აკვანი,
მხოლოდ სიმრავლე გადაგვარჩენს
და ერთპირობა,
რომ ჩვენს მიწა-წყალს ჩვენ თვითონვე დავეპატრონოთ.

გამოღვიძებისაკენ მომწოდებელი მოძღვრის ქადაგებაში ჩანს სამშობლოს ბედისათვის ღრმა გულისტკივილი, ერის ჰირისუფლისა, და მისი მომავლის მებაირახტრის სული. ეს სული იწვის, ანთია სამშობლოსათვის. შეგნებულ აქვს რა თავისი დიადი ვალი, მოძღვარი, თავისუფლების ნიჭს აღვიძებს საკუთარ მრევლში, და თუ ზოგჯერ ამ პროცესს წმინდა მოწამეთა სისხლისღვრა მოსდევს, ამ სისხლმა მომავალი თავისუფლების გზა უნდა გაანათოს. სწორედ ამ მსხვერპლის მოლოდინმა ააფორიაქა რენეგატი ბერები. მორჩილებაშეჩვეულმა მათმა სულმა ვერ გაუძლო მოძღვრის თავისუფლებისაკენ მომწოდებელ ხმას. ისინი ეძებენ ადგილს, სადაც ერის ბედისადმი ინდიფერენტულ ხალხს ადვილად ერწმუნებიან ბერების ტყუილ-მართალ ნაამბობ-ნაფიქრალ ამბავს. ეს ადგილი ეკლესიის ეზოა. ბერებს ეშინიათ, ეშინიათ ხალხის, ეშინიათ ერის, ეშინიათ ეროვნული ფასეულობის, ეშინიათ ეროვნული ფასეულობის ამ ადამიანებისგან

მკითხველის ზემოქმედება

მშვიდობა ქართულს

მიწავ, ქართულო!

მრავალტანჯულო ჩემო მიწავ, მიწავ ქართულო,
ახლაც ტანჯულო, ახლაც უდრეკ-ფაფარაყრილო,
მტერთა ისრებით გულდაჭრილო, გმირო ნამდვილო,
პატარძალივით მორთულო და თვალმოხატულო.
შენმა სიტურფემ, დაუბნიდა გონება მტარვალთ,
გიქსოვენ მახეს წასაქცევად სულ ახალ-ახალს,
მაგრამ ვერ მისწვდნენ მაგ შენ სიღრმეს, შენს მწვერვალს მაღალს,
ფარულ ხლართებში თვით იცემენ მომაკვდავ ლახვარს.
მოძმე წაგკიდეს, „ქართლის ჭირის“ დაგიდგა დღენი,
გაგიმეორდა საუკუნე მზარ-დასაღონი,
მაგრამ სიმწარემ გაარღვია ბნელეთის კარი.
აღარაფერი აღარა გაქვს გადასამალი.
რომ შეგეყურებენ შვილნი, შენნი, კვლავ ძნელბედობის,
ისტორიული აგონდებათ დღენი გმირული, —
შენი დიდგორი, მარაბდა თუ შენი კრწანისი, —
ქვეყანა სისხლით მორწყული და გადაკირული.
ახლაც სულდგმულობს ერი შენი წარსულზე ფიქრით,
რომელიც ლიბოდ დასდებია მომავლის აისს,
არ დაიდარდო, ძმა, მოყვასი კვლავ შენთან არის,
გქონდეს იმედი გამარჯვების-მომავლის, ხვალის.
წელო ახალო, დამილოცე ჩემი ქვეყანა!
მიეც სიმტკიცე და სავალი გზები ნამდვილი,
ღმერთო მაღალო, დაუმკვიდრე ქართველს მამული!
ამას გთხოვს ყველა ქართველ ქალის წმინდა მანდილი,

ნივრა ფრუიძე.

ნუ დაატყვევებთ ზარებს!

ნუ დაატყვევებთ ზარებს,
ნუ დაუდუმებთ ხმას,
ქარს ვერვინ დააყოვნებს
მაინც მოძებნის გზას.
ნუ დაატყვევებთ ჩიორებს
და ნუ მოაჭრით ფრთას,
ნუ დაატყვევებთ, აცალეთ,
გადაუფრინონ ზღვას!..
წინ ნუ უდგებით გაზაფხულს,
ზაფხულს ნუ უხშობთ კარს,
ნუ დაატყვევებთ სიცოცხლეს,
სიკვდილს ნუ მისცემთ გზას.
ნუ დაატყვევებთ ზარებს,
ნუ დაუდუმებთ ხმას,
და ნუ ჩააქრობთ სანთლებს,
ენთოს, ეძებოს გზა.

მარიკა ლარცულიანი.

პირველი

საოცარია თრთოლვა პირველი ფიფქის,
თრთოლვა გამსკდარი კვირტის, გაღვიძებული ფესვის,
თრთოლვა პირველი ნაბიჯისა და სიტყვის,
თრთოლვა პირველი სიყვარულის და ლექსის.
დამდაგველია, თან სიტკბოებით სავსე
პირველი ოფლი შუბლზე, კორძები ხელზე,
პირველი თეთრად გათენებული ღამე,
პირველი ფიქრი ქვეყნის ხვალინდელ დღეზე,
პირველი ცრემლი, პირველი კოცნა მწველი,
პირველი ჭიქა ღვინო დარდისგან სმული,
სანუკვარია პირველი გრძნობა ყველა
გულის სიმებზე მძივებად ამოსხმული.

იზო მანდარია.

კიდევ ერთი მგზნებარე გული

ბიბლიოთეკა

ჰეი, მამულო, შენს კიდე-განზე,
აიკრა სევდის ღრუბელთ კრებული,
დავკარგეთ შვილი, ცრემლი
გვდის მწარე.
ეჰ, კიდევ ერთი მგზნებარე
გული...
გაქვავდა ერთი მშფოთვარე
გულიც,
მამულის ბედით დამწუხრებული,
მოყვასს-ცრემლი 'დარდი და
წყლული,
მტერი კი დადის გაბრწყინებული.
ეჰ, ბოროტებავ, მაგ თქვენს
სიცოცხლეს
ასწილადა ნჯობს სიკვდილი
გმირის.
გმირი გმირია, ყველამ იცოდეს,
შთამომავლობა მის სახელს უვლის.
პატრიოტები ვინ თქვა კვდებიან,
უბრალოდ, წყდება დროსთან
ჭიდილი,
მათ კეთილ აზრებს აფასებს
მოდგმა
და აიტაცებს ზე, ძე შობილი.

ბონდო ჯიაძე.

საახალწლო კრიალოსანი

ალმოსავლური კალენდრის მიხედვით 1990 წელი ცხენის წელია. ფაფარაყრილი თეთრი მერანის მგზნებარებასა და მიზანსწრაფვას გისურვებთ ყოველ კეთილ საქმეში, ქართველნო!

სადაურია თოვლის პაპა?

ახალ წელთან ერთად ჩვენი სახლების კარი თოვლის პაპამაც შემოაღო საჩუქრებიანი ხურჯინით.

...ამტკიცებენ, რომ თოვლის პაპის პროტოტიპი გაჩნდა ბიზანტიაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) მე-4 საუკუნეში. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მეთევზეთა პატარა დასახლებაში ცხოვრობდა მოხუცი გლეხი. მას უყვარდა სიცოცხლე და განსაკუთრებით ბავშვები. მოსწონდა, როცა მათ სახეზე მოულოდნელ სიხარულს შენიშნავდა, ამიტომ ხშირად ასაჩუქრებდა მათ უბრალო საჩხარუნოებით. განსაკუთრებით ფასეულია ეს სიხარული ზამთარში, როცა ღარიბებს უჭირდათ სიცივისა და შიმშილის ატანა. მოხუცი ჩაიცვამდა კაპიუშონიან წითელ ლაბადას, ჩექმებს და ჩამოივლიდა სახლებს, ასაჩუქრებდა ბავშვებს. მოხუცი, რომელსაც ნიკოლა ერქვა, ადამიანისათვის სიხარულის მინიჭების უანგარო სურვილის გამო წმინდანად შერაცხეს.

თანამედროვე თურქეთში არ დაივიწყეს თოვლის პაპის ეს წინაპარი და ძეგლი აუგეს. წმინდა ნიკოლა სასაჩუქრო კალათებისა და ბავშვების გარემოცვაში დიდი ხნით დამკვიდრდა თურქულ სოფელ დემნეში.

მაისი ზამთარში

საახალწლო დღეებში გაზაფხულთან შეხვედრა განა მარტო ზღაპარშია შესაძლებელი. ეს ჩვენს სახლშიც შეიძლება მოხდეს. უმაკარეს სუსხშიც კი აყვავებული მაისის მოპატიჟება, კეთილი ჯადოქრის როლის შესრულება ყველა ჩვენგანს შეუძლია.

მოვჭრათ ხლუბლის, ატმის, ქლიავის, სხვა კურკოვანების ტოტები. მოვამზადოთ ხსნარი ნებისმიერ ჭურჭელში: 1 ლიტრ წყალში გავხსნათ 0,8 გრამი კალიუმის კვასტი, 0,3 გრამი ნატრიუმის ნიტრატი და 2 გრამი ნატრიუმის ქლორიდი. შეიძლება საკვები ხსნარის უფრო მარტივად მომზადება, ოღონდ ის უფრო ნაკლებად ეფექტური იქნება. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი მარგანეცის კრისტალი (იყიდება აფთიაქში), შემდეგ კი შევარდისფერებულ წყალს დავუმატოთ ერთი ჩაის კოვზი შაქარი.

ჩავდოთ ტოტები ჭურჭელში, ხსნარიდან ამოუღებლად ჩავაჭრათ ბოლოები და შემოვახვიოთ მთლიანად ცელოფანი, დავდგათ თბილსა და ნათელ ადგილზე. 8 დღის შემდეგ ხსნარი აუცილებლად უნდა გამოვცვალოთ, ტოტებს კი ისევ ჩავაჭრათ ბოლოები.

გავა კიდევ ერთი კვირა და ტოტები დაიფარება ქათქათა თეთრი ყვავილებით.

ჩვენი საქედაქციო ფოსტიდან

სიხარულად მოგვევლინა

სოფელი ნაკურალეში ყველაზე მაღალმთიანია რაიონში. სამწუხაროდ, აქ ახალგაზრდა თითქმის აღარავინ დარჩა, თითო-ოროლას თუ დაინახავ გულის გასახარად.

ნაკურალეშის კავშირგაბმულობის საფოსტო განყოფილებაში მუშაობს დალი ოთარის ასული გოლეთიანი ფოსტალიონად. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე გოგონა მთელი მონდომებით ემსახურება თავის საქმეს. მიუხედავად სიძნელეებისა, დალის ყოველთვის დაინახავთ ჟურნალ-გაზეთებით ხელში ხან გოლეთიანების, ხან ყურაშვილების უბანში.

მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილს არ ეშლება ადამიანებთან ურთიერთობა, მათი დაფასება და პატივისცემა.

ჩვენც მთელი გულით შევიყვარეთ ეს საოცრად კეთილშობილი გოგონა.

ვულოცავ ახალ 1990 წელს, ვუსურვებ ყოველი ახალი წელი მისთვის ყოფილიყოს სიკეთის და სიხარულის მომტანი.

ელისო ყურაშვილი.

ნაკურალეშის საექიმო ამბულატორიის მედდა.

ქალაქ ცაგერში მცხოვრებ ყველა ოჯახს

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ დღეგრძელობას და შვილთა სიმრავლეს. დაე, ეს წელი ყოფილიყოს თქვენი ოჯახის წევრთათვის ბედნიერებისა და ახალი წარმატებების მომტანი.

რაისაბჭოს აღმასკომის ქალაქის განვითარებისა და საბინაო-კომუნალური განყოფილება. კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატი.

მაია აღიმის ასულ ნემსწვერიძეს

დათო მიხეილის ძე გახუტაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. ბედნიერ ბედის ვარსკვლავს ეწინამძღვროს თქვენი ცხოვრებისათვის მრავალჟამიერ!

ტვიშის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

მამია დაშნიანი, მერაბ ბურჯალიანი, გელა მამარდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევდიმან უგრეხელიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, **განყოფილებების:** სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, **შეკვეთა** 142, **ინდექსი** 66539, **ტირაჟი** 4441

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.